საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს

გაფართოებული სხდომის ოქმი

26 აგვისტო, 2011

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სხდომის დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა და დღის წესრიგის გაცნობა - ირინე ქურდაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 სექტემბრის №1219 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა; სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენლის არჩევა.
3. ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ანგარიშის წარმოდგენა და განხილვა;
4. ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" მესამე ტრანშით გათვალისწინებული აქტივობების განხილვა;
5. ეროვნული პროფესიული საბჭოს თემატური ჯგუფების 2011 წლის სამოქმედო გეგმების განხილვა და შეთანხმება;
6. სხდომის შეჯამება და დახურვა - საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ირინე ქურდაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
2. ეკატერინე გაბუნია - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
3. შორენა ჯაფარიძე - დამოუკიდებელი ექსპერტი;
4. თეა გულუა - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
5. ელგუჯა მელაძე - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
6. მიხეილ კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
7. ნათელა პაპუნაშვილი - სსიპ პროფესიული კოლეჯის "აისის"დირექტორი;
8. მამია ჯანჯალია - სსიპ პროფესიული კოლეჯის "აიტის"დირექტორი;
9. ლალი ებანოიძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
10. დავით კერესელიძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
11. ნინო კოპალეიშვილი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
12. თამარ სამხარაძე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; საბჭოს სამდივნოს წევრი.
13. ლეილა ახმეტელაშვილი - სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" ადამიანური რესურსების განყოფილების დირექტორი
14. ზურაბ სიმონია - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა;
15. გივი კახიშვილი - შემდუღებელთა და მასალათმცოდნეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი;
16. მამუკა მონავარდისაშვილი - კავშირი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის დირექტორი;
17. დავით ყიფიანი - სასტუმრო "მარიოტის" და "ქორთიარდის" კადრების განყოფილების დირექტორი;
18. ნინო ელბაქიძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
19. თამუნა მამუკელაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაციის სამმართველო
20. მაკა კურდღელია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
21. ანი ქიტიაშვილი - პროფესიული განათლების საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამის ექსპერტი;
22. ნათია კვიციანი - IOM - პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი;
23. მაკა კურდღელია - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
24. ანა მჭედლიშვილი - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ქ-ნი ირინე ქურდაძე, რომელმაც დამსწრე აუდიტორიას წარუდგინა დღის წესრიგი - პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს თანამშრომელი, თამარ სამხარაძე წარმოადგენს ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების მეორე ტრანშის ანგარიშს და ასევე ისაუბრებს ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" მესამე ტრანშით გათვალისწინებული აქტივობებზე. ასევე, ეროვნული პროფესიული საბჭოს ფარგლებში შექმნილი თემატური ჯგუფების ხელმძღვანელები წარმოადგენენ თემატური ჯგუფების 2011 წლის სამოქმედო გეგმას. ქ-ნმა ირინე ქურდაძემ დასძინა, რომ სხდომაზე განხილული იქნება კიდევ ერთი მნიშვნელოვან საკითხი, რომელიც ეხება ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის" პროგრამის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენლის არჩევას.

ქ-ნმა ლალი ებანოიძემ დამსწრე აუდიტორიას წარუდგინა ეროვნული პროფესიული საბჭოს ახალი წევრები და მადლობა გადაუხადა მათ თანამშრომლობისათვის.

ქ-ნმა თამარ სამხარაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" ძირითადი არსი და მნიშვნელობა. წარმოადგინა ანგარიში 2010-2011 წელს განხორციელებული მეორე ტრანშის პირობებით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ. ასევე, ისაუბრა მესამე ტრანშით გათვალისწინებულ აქტივობებზე.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ იკითხა ჰქონდა თუ არა ვინმეს მომზადებული შენიშვნები და კითხვები თემატური ჯგუფების სამუშაო გეგმებთან დაკავშირებით, რადგან სხდომამდე საბჭოს ყველა წევრს ჰქონდა დაგზავნილი თემატური ჯგუფების სამოქმედო გეგმები. საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა არსებულ სამოქმედო გეგმებს.

ქ-ნმა ლალი ებანოიძემ აღნიშნა, რომ თემატურ ჯგუფებში მონაწილეობა თავისუფალი და ღიაა, შესაბამისად ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ჩაერთოს თემატური ჯგუფის მუშაობაში.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ განაცხადა, რომ საჭიროა საბჭოს წევრების მიერ მოხდეს ერთ-ერთი წევრის შერჩევა, რომელიც იქნება დელეგირებული წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

პროფესიული კოლეჯის ”აისის” დირექტორმა, ქ-ნმა ნათელა პაპუნაშვილმა დაასახელა თეა გულუას კანდიდატურა, რომელიც არის საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი. საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს წამოყენებულ კანდიდატურას.

სხდომა შეაჯამა ქ-ნმა ირინე ქურდაძემ:

1. თემატური ჯგუფები მუშაობას განაგრძობენ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმების მიხედვით
2. ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრების მიერ შეირჩა საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - თეა გულუა, რომელიც შევა ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის” სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

სხდომის თავმჯდომარე:
ირინე ქურდაძე

სხდომის მდივანი:
ანა მჭედლიშვილი